



გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი

დამტკიცებულია:

ნ.მანჯავიძე

დირექტორი

ბრძანება N1/14

07.11.2019წ.

ცვლილება შესულია:

ბრძანება #1/16.

28.06.2019 წ.

სსიპ-ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯში კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტით სარგებლობის წესი

ა) კოლეჯის სტუდენტებსა და პერსონალს უფლება აქვთ:

1. გამოიყენონ სსიპ-ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის კომპიუტერული ტექნიკა და ინტერნეტი სამუშაო დღის საათებში 10:00 საათიდან 18:00 საათამდე.
2. ინტერნეტის მეშვეობით მოიძიონ სასწავლო და სამეცნიერო ინფორმაცია, გადმოწერონ და ჩაწერონ ინფორმაციის დამგროვებლებზე;
3. შეასრულონ პრაქტიკული დავალებები როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად;
4. მიიღონ სსიპ - გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის კომპიუტერული ცენტრის ოპერატორისაგან კონსულტაცია კომპიუტერული ტექნიკისა და ინტერნეტით მომსახურების გამოყენების დროს.

ბ) კოლეჯის სტუდენტებსა და პერსონალს ეკრძალებათ:

1. სსიპ - გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის უფლებამოსილ სპეციალისტებთან შეთანხმების გარეშე კომპიუტერულ სისტემაში პროგრამების ჩაყენება-ინსტალაცია;
2. გასართობი და სხვა არასასწავლო, არასაგანმანათლებლო საიტების გამოყენება, რაც არ არის დაკავშირებული კოლეჯის პერსონალის სამუშაოსთან ან საგანმანათლებლო ან/და სამეცნიერო და შემოქმედებით საქმიანობასთან;
3. არამიზნობრივად ჩატის, ფორუმებისა და მსგავსი ინტერნეტ-მომსახურების გამოყენება.

გ) კოლეჯის სტუდენტები და პერსონალი ვალდებული არიან:

1. არ დააზიანონ კოლეჯის ტექნიკა და ინვენტარი;
2. გამოყენების შემდეგ გამორთონ კომპიუტერი;

3. დაიცვან სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და სიწყნარე კომპიუტერულ ტექნიკასთან მუშაობის დროს. მუსიკალური მასალის მოსმენისას გამოიყენონ ყურსაცმები;

4. ტექნიკისა და ინვენტარის დაზიანების შემთხვევაში ანაზღაურონ მიყენებული ზარალი.